



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000038624934417

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ. N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 78

18 / დეკემბერი / 2017 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები თანდართული სახით.
2. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს საპროექტო წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.
3. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის გამზ. №41).



ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

თამარ ყვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტი 2018 წლის რეგიონალური პროექტები დანართი N2

№	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	მ.შ თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	ქალაქ ახმეტაში ბითაანის ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარით მოპირკეთება	93400	88700	4700	01.05.2018 წ. 30.11.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
2	ქალაქ ახმეტაში გურამიშვილის ქუჩის მოპირკეთება ასფალტო-ბეტონის საფარით	130600	124000	6600	01.05.2018 წ. 30.11.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
3	ქალაქ ახმეტაში წყაროების გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოპირკეთება.	610500	580000	30500	01.05.2018 წ. 30.11.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
4	ქ.ახმეტაში ფშავის ქუჩის რეაბილიტაცია	59100	56100	3000	01.05.2018 წ. 30.11.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
5	ქ.ახმეტაში ალავერდის ქუჩის რეაბილიტაციის	107900	102500	5400	01.05.2018 წ. 30.11.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
6	ქ.ახმეტაში ფალიაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია	109400	103900	5506	01.05.2018 წ. 30.11.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია

7	ქ.ახმეტაში ოძელაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია	51400	48800	2600	01.05.2018 წ. 30.11.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
8	ქ.ახმეტაში ალაზნის ქუჩის რეაბილიტაცია	76700	72800	3900	01.05.2018 წ. 30.11.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
9	ქ.ახმეტაში თიანეთის ქუჩის რეაბილიტაცია	53600	50900	2700	01.05.2018 წ. 30.11.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
10	ქ.ახმეტაში წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია	148900	141400	7500	01.05.2018 წ. 30.11.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
11	ქ.ახმეტაში საბეროს უბანში მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	250000	237500	12500	01.05.2018 წ. 30.11.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წელს
12	ქ.ახმეტაში გაგარინის ქუჩის რეაბილიტაცია	237215	225355	11860	01.05.2018 წ. 30.11.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
13	სოფ. ქვ. ალვანის წყალსადენის მაგისტრალის რეაბილიტაცია	493700	469000	24700	01.05.2018 წ. 30.11.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
14	მდ. ორვილის კალაპოტის გაწმენდა ნატანისაგან	257600	244700	12900	01.05.2018 წ. 30.12.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია
15	სოფ.ქვ ალვანის № 1 ბადის რეაბილიტაცია	89300	85000	4300	01.04.2018 წ. 30.08.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წელს
16	სოფელ ხორხელთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.	669000	635500	33500	01.05.2018 წ. 30.11.2018 წ.	საპროექტო სამუშაოები შესრულებულია

	ჯამო	3438315	3266155	172166		
--	------	---------	---------	--------	--	--